ხაშურის მოამბე

№20 (442) 26 მაისი, კვირა, 2024 წელი

ისტორიული მნიშვნელობის დღე

26 მაისი საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის დღეა - საქართველოს ეროვნული დღესასწაული, დამოუკიდებლობის დღე, რომელიც სათავეს 1918 წლიდან, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან, იღებს.

გილოცავთ ჩემო თანამემამულენო საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გილოცავთ მათ ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი. გისურვებთ მშვიდობას, უსაფრთხოებასა და აყვავებას!

ზაალ (ზაზა) დუგლაძე,

ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი

ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა კურთხევით, საქართველოს ქალაქებში სახალხლო მსვლელობა მოეწყო

გორში მაცხოვრის აღდგომის მშენებარე საკათედრო ტაძარში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრიამ პარაკლისი აღავლინა, რის შემდეგაც შეკრებილი მოსახლეობა ღვთიშობლის სახელობის ტაძრის მიმართულებით მსვლელობას შეუერთდა.

საზეიმო მსვლელობას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე, რწმუნებულის მოადგილეები, გორის მუნიციპალიტეტია მერი ვკადიმერ ხინჩეგაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეუერთდნენ.

"უკვე რამოდენიმე წელია რაც საქართველოში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ოჯახის სიწმინდის დღეს აღვნიშნავთ. მინდა დღევანდელი დღე მივულოცო სრულდ საქართველოს. ეს უდიდესი ფასეულობაა თითოეულო ჩვენგანისთვის და ტრადიცებს, რა თქმა უნდა, დაცვა და მოფრთხილება სჭირდება. ამ დღესთან დაკავშირებით გორში საზეიმო მსვლელობა მოეწყო, რომელსაც მოსახლეობა ჩვენი რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტიდან შემოუერთდა." - აღნიშნა რწმუნებულმა.

გორში გამართულ მსვლელობას მოქალაქეები შიდა ქართლის რეგიონის ქალაქებიდანაც შეუერთდნენ.

ძვირფასო თანამოქალაქენო!

გილოცავთ ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება თავისუფლების იმ იდეალის გამარჯვებაა, რომელიც მუდამ განსაზღვრავდა ჩვენს ისტორიას. და თუმცა პირველი რესპუბლიკა ხანმოკლე აღმოჩნდა, არ განელებულა ქართველთა ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის, რაც 1991 წელს სახელმ-წიფოებრიობის საბოლოოდ აღდგენით დაგვირგვინდა.

დღეს ქედს ვიხრით მათი ნათელი ხსოვნის წინაშე, ვინც სიცოცხლე შესწირა ამ დიადი მიზნის მიღწევას.

ქართველი ხალხის თავისუფალ სულისკვეთებას და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას საუკეთესოდ ეხმიანება ჩვენის მუნიციპალიტეტში - სოფელ ნაბახტევში საფლავის ქვაზე გამოკვეთილი სიტყვები: „მონობაში ტანჯულო დაუვიწყარო მამავ! შენი ნატვრა აღსრულდა, საქართველო გათავისუფლდა!"

სწორედ თავისუფლება გვაძლევს ძალას, გავაგრძელოთ ისტორიული გზა, გავაღრმავოთ განვითარება და ცოდნაზე დაფუძნებული, ჩვენი წარსულისა და კულტურის საკადრისი სახელმწიფოს მშენებლობა, ვიშრომოთ და ვიცხოვროთ ღირსეულად და ღირსებით ვიაროთ წინ!

გილოცავთ! ეს დღე ჩვენია!

პატივისცემით,

თენგიზ ჩიტიაშვილი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

დარწმუნებული ვარ, ქვეყნის სიყვარულით, ერთმანეთის თანადგომით, შევძლებთ ვიცხოვროთ ერთიან და ძლიერ საქართველოში

ეს არის დღე, რომელიც აერთიანებს თითოეულ ჩვენგანს დამოუკიდებელი, სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე.

დარწმუნებული ვარ, ქვეყნის სიყვარულით, ერთმანეთის თანად-გომით, შევძლებთ ვიცხოვროთ ერთიან და ძლიერ საქართველოში, ერთად ვაშენოთ დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფო.

დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ!

ნინო ლიპარტელიანი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების - მეორადი სტრუქტურული ერთეულის 2023 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში

მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება არის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი განყოფილება. განყოფილების ძირითადი მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილებაში დღეისათვის დასაქმებულია 5 საჯარო მოხელე. განყოფილების მიზნებს წარმოადგენს მერის წარმომადგენელთა მხარდაჭერა მათ საქმიანობაში და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

განყოფილება ზემოთნახსენები მიზნების შესრულებისას ახორციელებდა შემდეგ საქმიანობას:

მერის წარმომადგენელთა ინფორმირება/ მათთან კოორდინირებული ურთიერთობა სხვადასხვა საკითხების მოგვარებისათვის, მათ შორის:

მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესში და შესაბამისი პასუხების მომზადება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მუნიციპალიტეტის პოზიციის შესახებ კონკრეტული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიება (დადგენილება, ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) ადმინისტრაციული ერთეულებში.

მაღალმთიანი დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსზე მუშაობა (სტატუსის მინიჭებისათვის დოკუმენტაციის მომზადება, სტატუსის მონიტორინგი).

ხე მცენარის ადგილწარმოშობის ცნობებზე მუშაობა.

მეწყერით დაზიანებულ სახლებზე ინფორმაციის მომზადება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადაგზავნა.

საშეშე მერქნის სიების დაზუსტება, შუამდგომლობები ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან.

სამასალე მერქნის გამოყოფისათვის შუამდგომლობების მომზადება.

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარეთა შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოების და მოიჯარეებისათვის, წერილების მომზადება მიწის ნაკვეთების სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შესახებ.

სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელებული და მიმდინარე პროექტების და ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.

მოქალაქეებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან განყოფილებაში მიღებული წერილების შესწავლა, შუალედური და საბოლოო პასუხების მომზადება.

მოქალაქეთა ცხოვრების ფაქტების დადასტურება.

განყოფილების მუშაობის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებად რჩება მონაწილეობა „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მიწის სისტემურ რეგისტრაციაში, მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში კერძოდ: მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული დოკუმენტების მოძიება, ასევე მიწის რეგისტრაციის პროცესში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აგზავნის შესაბამის კორესპონდენციას მუნიციპალიტეტის ინფორმირებისა და საჭიროების შემთხვევაში პოზიციის დაფიქსირებისათვის, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს მერიის მოსამსახურეებისაგან - ასეთი სახის საქმიანობაში მუნიციპალიტეტი, კანონის შესაბამისად, ჩართულია 2022 წლის 1 იანვრიდან, ასეთი წერილები, საჭიროების შემთხვევაში, პოზიციის დაფიქსირებისათვის ეგზავნება მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში და ხაშურის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებაზე გადასაცემად, სულ 2023 წელს შემოსულია 256 ასეთი წერილი.

ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელsაც ასევე განყოფილება მართავს ეს არის მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირების სტატუსის მართვა და მაღალმთიან დასახლებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

დღეს განყოფილების სპეციალისტები ამზადებენ მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოსათვის წარსადგენ დოკუმენტაციას მოქალაქის მიერ განცხადების წარდგენის შემდეგ სტატუსის მინიჭების მიზნით. სამოქალაქო რეესტრის მოთხოვნის საფუძველზე უწყვეტენ ან უჩერებენ სტატუსს მოქალაქეებს. ასევე მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაა პასუხისმგებელია მოქალაქეთა სტატუსის მონიტორინგის საკითხზე, რომლის საფუძველზეც ხდება მოქალაქისათვის სტატუსის შეწყვეტა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაში 2023 წელის სულ შემოსული და დამუშავებულია 662 განცხადება და წერილი, აქედან მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის პოზიციისა და კომლის შემადგენლობისა და რიცხული ქონების შესახებ- 265 წერილი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სტიქიით დაზიანებული ოჯახების შესახებ -25 წერილი, ადგილწარმოშობის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია მოქალაქეთა 35 განცხადება, ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ - 196 განცხადება, საშეშე მერქნის მიმღებთა სიაში მოქალაქის შეყვანის შესახებ -45 განცხადება, მისამართების იდენტურობის დადგენის შესახებ -16 განცხადება და 80 სხვადასხვა წერილი და განცხადება. (სულ განყოფილებაში დამუშავებულმა კორესპონდენციის მთლიანმა რაოდენობამ, შუალედურის ჩათვლით, ამ პერიოდისათვის შეადგინა 1865).

ჩატარდა მაღალმთიან დასახლებებში სტატუსის მართვის საბჭოს 10 სხდომა, სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადი შემოიტანა 78 მოქალაქემ, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 61 მოქალაქეს, მინიჭებაზე უარი ეთქვა - 17-ს, ხოლო სტატუსი შეუწყდა 91 მოქალაქეს, მათ შორის მონიტორინგის საფუძველზე 32-ს. სტატუსის შესახებ მომზადდა 67 საინფორმაციო წერილი. მერის წარმომადგენლების მიერ წლის დასაწყისში დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად ჩატარდა 628 მონიტორინგი, მოქალაქეთა სტატუსის გადამოწმების მიზნით. 2023 წლის ბოლოსათვის აქტიური სტატუსი ჰქონდა 1903 მოქალაქეს.

ივანე ლოლაძე,
განყოფილების ხელმძღვანელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომში აქტიურად მიმდინარეობს ასფალტო-ბეტონის გზების მოწყობა

სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე, მერიის წარმომადგენლებთან ერთად.

სოფელ წრომში გზის საფარის მოწყობა დასკვნით ეტაპზეა.

საგზაო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რაზეც ჯამში 528 308.34 ლარი დაიხარჯება.

ქვიშხეთში, მჭედლიშვილების უბანში, აქტიურად მიმდინარეობს გზის საფარისა და საყრდენი კედლების მოწყობა-გამაგრება

სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე, მერიის წარმომადგენლებთან ერთად.



საგზაო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის ღირებულებაც შეადგენს 1 238 999 ლარს.

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19)

მიღებული ზომების თანახმად, გურასპაშვილი იპოვეს, დააპატიმრეს და მიუსაჯეს ორი წელი იძულებით სამუშაო ბანაკში, ამნისტიის გარეშე.

ასე დარჩა ერთადერთი შვილის მოხუცებული მშობლები იმედისა და ნუგეშის გარეშე: ,,ჩვენი ერთადერთი შვილი და შემნახველი ნიკო ზაქარიას ძე გურასპაშვილი, რომელიც ემსახურებოდა მიწათმოქმედების კომისარიატში, სარაიონო კომისიის მდივნად, - ვკითხულობთ მისი დედ-მამის მიერ რევკომის თავმჯდომარე ამხანაგ მახარაძისადმი მიწერილ თხოვნაში, - საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილებით დასჯილია იძულებითი მუშაობით 2 წლის ვადით. ვინაიდგან ჩვენ მოხუცებულმა, დაობლებულმა და უპატრონოთ დარჩენილმა მშობლებმა ვიცით ნამდვილი საქმის გარემოება, რომ ჩვენი შვილი არაფერშია დამნაშვე. ვფიქრობთ, რომ მისი დასჯა შედეგია გაუგებრობისა და უყურადღებობისა, რადგან ჩეკამ არ გამოიძია გულდადებით საქმე. არ ალაპარაკა დამსწრე მოწმეები და იხელმძღვანელა რა მხოლოთ ხაშურის კომისარის თქმით, ჩვენი შვილი უდანაშაულოთ დასაჯა და ჩვენ ორი მოხუცი მუშა მოამაგე მშრომელი მოხუცი სიბერის დროს, როცა ფიზიკური შრომის უნარს მოკლებულნი ვართ, ულუკმაპურო დაგვტოვა, ორი წლით მაცხოვრებელი გამოგვაცალა ხელიდგან და სიკვდილის მეტი აღარაფერი არ დაგვრჩენია.

საქმის გარემოება იმაშია, რომ ჩვენი შვილი რკინის გზის ვაგონში მიმავალი რაღაცაზედ წალაპარაკდა დ.-თან, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა. ამაზედ გულმოსული დ., როდესაც მისულა თავის რაიონში, შურისძიების სურვილით შესდგომია ჩვენს შვილზედ უსაფუძვლო ოქმის შედგენას და გამოუგონია რაც უფრო და უფრო პასუხის საგებელია ბრალდებულისათვის ისეთი მძიმე საპასუხიმგებლო საგნები ჩუწერია ოქმში, რომლებსაც არ ჰქონდა ადგილი მათი შელაპარაკების დროს. მაგრამ ჩვენი შვილი კი ამ მიზეზით დაიღუპა და მასთან ერთად ჩვენც ვიღუპებით და სიმშილით ვწყდებით. უმორჩილესად გთხოვთ, ამხანაგო საქართველოს რევკომის თავმჯდომარევ და რესპუბლიკის მამავ და პატრონო, მფარველო ყველა მოქალაქისა, თქვენის კაცთმოყვარეობით, ლმობიერებით და ჩაგრულთა შემბრალე გულის მოწყალებით მოგვაქციეთ ჯეროვანი შემწყალებელი ყურადღება, შეიბრალეთ მშრომელნი, ძალ-ღონე გამოცლილნი და უნუგეშოთ დარჩენილი მოხუცებული მშობლები და ჩვენს ერთადერთ მარჩენალს აპატიეთ სასჯელი და დაგვიბრუნეთ მშობლების წიაღში...

ზაქარია თევდორეს ძე გურასპაშვილი

ბარბარე იოსების ასული გურასპაშვილი”()

როგორც შსს არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, გურასპაშვილი 20-იანი წლების რეპრესიებს ცოცხალი გადაურჩა, შინ მშვიდობით დაბრუნდა, დაოჯახდა, ქალიშვილიც შეეძინა, თუმცა 1937-1938 წლებში კვლავ დააპატიმრეს...

დაპატიმრებას ვერ გადაურჩა ძველი სოციალ-დემოკრატი სიმონ ბაბლიძე. იგი პარტიის წევრი 1897 წლიდან იყო და აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა. 1909 წელს ციმბირშიც გადაასახლეს, საიდანაც 1917 წელს, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ გათავისუფლდა და სამშობლოში დაბრუნდა. ს. ბაბლიძე დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში ჩადგა. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხაშურის კომიტეტის წევრი, ხაშურის სახალხო გვარდიის შტაბის წევრი... საქართველოში საბჭოთა ხელისულების დამყარებიდან სამი თვის შემდეგ, 1921 წლის 24 ივნისს, საკუთარ სახლში აიყვანეს. კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალი წაუყენეს და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯეს.

1922 წლის 15 თებერვალს, საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს განცხადებაში სიმონ ბაბლიძე წერდა: ,,მე ვარ მოხუცი კაცი, მუდამ ციხეში და ციმბირში ყოფნით დაქანცულ-დაღლილი, თითქმის მუშაობის უნარს მოკლებული. მე არ მიმიძღვის არავითარი დანაშაული საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. თუ თქვენ პატივს სცემთ ჩემს წარსულ პოლიტიკურ და რევოლიუციონურ მოღვაწეობას, გთხოვთ, გამათავისუფლოთ. მითუმეტეს მისჯილი ვადა უკვე გავათავე“.

6 თვის ნაცვლად ს. ბაბლიძემ მეტეხის ციხეში წელიწადზე მეტი დრო გაატარა და მხოლოდ 1922 წლის 11 ივლისს გაათავისუფლეს. მას ხელწერილიც ჩამოართვეს, ძველი რევოლუციონერი პირობას დებდა არ ეწარმოებინა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო საქმიანობა...

1923 წლის 27 იანვარს, ს. ბაბლიძეს კვლავ აპატიმრებენ. დასაპატიმრებლად მისული ჩეკას თანამშრომლები მოხსენებით ბარათში წერენ: ,,ორდერის წაკითხვისთანავე ბაბლიძემ ძალზედ გაანჩხლებულმა დაგვიწყო ლანძღვა-გინება, რომ თქვენ დაღუპეთ საწყალი ხალხიო, აღარ უყენებდით ძროხებს, ქათმებსო და ახლა კი წამოსკუპებულხართ სკამებზედ და ხალხს ტყავს აძრობთო. თქვენც შეგარცხვინათ ღმერთმა და თქვენი პოლიტბიუროო. მასთან შეეხო ლენინს და სხვა ჩვენს ბელად მოწინავე ამხანაგებს კომპარტიისას... ამბობდა, ვინ გეხვეწებათ, რომ გვიშველეთო. გაკეთებულ მზა საქმეზედ შემოგიშვით და ატყავებინებთ ჩვენს პატარა საქართველოსო“.

1923 წლის 14 აპრილის დადგენილებით ს. ბაბლიძე სამი წლით პერმის რაიონში გადაასახლეს... საქმეში დაცულია ჩეკას იმავე წლის 6 ნოემბრის დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ს. ბაბლიძემ გაზეთში ოფიციალურად გამოაქვეყნა განცხადება მენშევიკების პარტიიდან გამოსვლის თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ს. ბაბლიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მისცეს, თუმცა წინ იყო 30-იანი წლების რეპრესიები...

მიუხედავად საზოგადოებასთან გარკვეული წინააღმდეგობისა, ხელისუფლება მაინც წარმატებით ნერგავდა ცხოვრებაში საბჭოთა წესწყობილებას. თანაც ეს ყველაფერი დამოუკიდებელი საქართველოს გმობის ფონზე ხდებოდა.

1922 წლის 10 იანვარს შედგა ალის თემის მოსახლეობის კრება-მიტინგი, რომელსაც 600 კაცი ესწრებოდა. აქ იყვნენ კლდისწყაროს, ბროლოსნის, ტკოცის, პატარა და დიდი ფლევის, დუმაცხოვის, ქინძათის ნაბახტევის, ბრილის, ულუმბის და თავად ალის მცხოვრებლები.

კრება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს ეძღვნებოდა. მომხსენებელმა ახსნა მენშევიკურ მთავრობის მოღალატურ მოქმედებას“. მან ვერ გადაწყვიტა მიწის საკითხი გლეხების საკეთილდღეოდ. საბჭოთა ხელისუფლება დღემდე რევკომების სახით მოქმედებდა ადგილებზე. დღეს უნდა შეიქმნას ნამდვილი მუშურ-გლეხური ხელისუფლება საბჭოების სახით, რომელიც მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტისკენ ექნება აღებული ორიენტირი, როგორიცაა მიწის საკითხი, განათლება და სხვ. შემდეგ ორატორმა ისაუბრა ამიერკავკასიის ფედერაციაზე, აღნიშნა მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკელების დანაშაულებრივი საქმიანობა ნაციონალური საკითხის თვალსაზრისით. უარყოფითად შეაფასა ,,ქართველი ხალხის ჩამოშორება რუსეთის მშრომელ ხალხზე“. დადგენილებაში ჩაწერილია: ,,ჩვენ, ალის თემის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანმა კრებამ, მოვისმინეთ რა ამხ. ალ. ცაბაძის მოხსენება საბჭოების მნიშვნელობის შესახებ, ერთხმად მხარს უჭერთ არსებულ წესწყობილებას და დიდს იმედს გამოვსთქვამთ,რომ ჩვენი მომავალი საბჭოები დააგვირგვინებენ მუშების და გლეხების სულისკვეთებას და შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ისე, როგორც მოითხოვს მშრომელი ხალხის ინტერესები. მასთან ვესალმებით და ვეტრფით ამიერკავკასიის ხალხთან შეერთებას, შეკავშირებას. გაუმარჯოს მომავალ საქართველოს საბჭოებს და მასთან იმ დიდ საბჭოთა რუსეთს, რომელმაც მიანიჭა ქართველ ხალხს თავისუფლება“.

დღეს ასე ფიქრობდა ადგილობრივი მოსახლეობა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს დაიწყო ბრძოლა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ბრძოლას არა მარტო მშვიდობიანი ხასიათი (საპროტესტო აქციები და მანიფესტაციები), არამედ შეიარაღებულ გამოსვლებსაც (აჯანყებებს) ჰქონდა ადგილი (სვანეთი, ხევსურეთი, კახეთი და სხვა). ამან გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან რეპრესიული მანქანის ამუშავება. ამის შედეგი იყო ის, რომ ანტისაბჭოთა პარტიები იძულებული გახდნენ, 1923 წლის დასაწყისიდან თვითლიკვიდაციის რეჟიმზე გადასულიყვნენ. განსაკუთრებული ზეწოლა ეროვნული იდეოლოგიის პარტიებზე ხორციელდებოდა, თუმცა არც მენშევიკური პარტია, რომელიც დამოუკიდებლობის წლებში მმართველ პარტიას წარმოადგენდა, იყო გამონაკლისი.

საზოგადოებაში სათანადო მუშაობა მიმდინარეობდა მენშევიკური პარტიის საწინააღმდეგოდ. 1923 წლის 31 მარტს მუშათა კლუბში მოწვეული იქნა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა საკითხი - ,,მენშევიკური პარტიის გახრწნა და მისი მიზეზები“. გაზეთი ,,კომუნისტი“ წერს: ,,...საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ბოკერიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მენშევიკები მოღალატენი არიან მუშათა კლასის. ბურჟუაზიის აგენტები და იბრძვიან პროლეტარიატის ბატონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში არ ერიდებიან არაფერს, ბანდიტებთან კავშირსა და ბანდიტურ მოქმედებასაც კი. ისინი ყაჩაღთა ბრბოდ გადაიქცნენ. ეს ბოლო დროს შეიგნეს იმ მუშებმა და გლეხებმაც, რომელნიც შეუგნებლობით წინედ მათ მიყვებოდნენ და ეს მუშები და გლეხები ისევ უბრუნდებიან რევოლუციონურ მშრომელთა რიგებს და ამგვარად იშლება და იხრწნება მენშევიკების პარტია“.

მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში დაგმობილია მენშევიკური პარტია, ამასთან მუშა-მოსამსახურეები აღიარებენ, რომ მუშათა კლასის ინტერესების ერთად-ერთი დამცველი არის კომუნისტური პარტია.

1923 წლის 10 მაისს, გაზეთ ,,ამიერკავკასიის რკინიგზელში“ მენშევიკური პარტიის ხაშურის ორგანიზაციის 29 წევრის ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილში, ვკითხულობთ:

,,გთხოვთ, ჩვენი პატივცემული გაზეთის უახლოეს ნომერში გამოაცხადოთ ჩვენი, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრების გულწრფელი განცხადება:

ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, საქართველოს მენშევიკური პარტიის წევრები, მთელი ქვეყნის მშრომელთა მასების გასაგონათ ვაცხადებთ, რომ მენშევიკურ პარტიამ და მეორე ინტერნაციონალმა უღალატეს რა მუშათა კლასს, ბურჟუაზიასთან ერთად დაიწყეს მუშაობა პროლეტარიატის საწინააღმდეგოთ.

მენშევიკები თავისი ბატონობის დროს სდევნიდნენ საქართველოში მუშათა კლასის ინტერესების დამცველ კომუნისტურ პარტიას და სრულ კონტაქტში და კავშირში იყვნენ მეფის გენერლებთან. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ისინი დაუკავშირდნენ როგორც მსოფლიო ბურჟუაზიას, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ბანდიტებს: ჩოლოყაშვილს, მათიაშვილს, მანწკავას და სხვებს, რათა მათი დახმარებით ჩამოეგდოთ მუშათა კლასის ინტერესების დამცველი მთავრობა. ამიტომ ჩვენ დღეის რიცხვიდან გამოვდივართ მენშევიკურ პარტიიდან, ვგმობთ მის მიერ წარმოებულ პოლიტიკას და აღვუთქვამთ საბჭოთა ხელისუფლების,– კომუნისტურ პარტიას, რომ დავდგებით მისი წითელი დროშის ქვეშ და არასდროს ჩვენ მუშათა კლასს არ ვუღალატებთ.

ძირს მენშევიკური გახრწნილი პარტია!

გაუმარჯოს ერთადერთ მშრომელი კლასის ინტერესების დამცველ კომუნისტურ პარტიას!.

ქვეყანაში თანდათან მყარდებოდა ერთპარტიული მმართველობა...

ხელისუფლება ცდილობდა ყველგან შეეღწია, ყველგან ეძებდა თავის მოკავშირეს, რომ თავისი დასაყრდენი ჰყოლოდა. ამ მხრივ ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას განათლების მიმართ იჩენდა. ახდენდა მასწავლებელთა გადამზადებას არა მარტო პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ხელისუფლება მასწავლებლისგან მოითხოვდა აქტიურობას მოსახლეობაში ახალი ცხოვრების პროპაგანდის თვალსაზრისით. 1924 წლის იანვრიდან გორის სამაზრო კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების მიერ დათვალიერებული იქნა მაზრის სკოლები. მათ შორის დათვალიერებული იქნა ხაშურის ცხრაწლედი, სურამის შვიდწლედი და სხვ. საერთო მდგომარეობაზე ანგარიშში ნათქვამია: ,,...აშკარათ და ნათლად სჩანს, რომ დღევანდელ პირობებში სკოლას და ცხოვრების შორის დიდი მანძილი სძევს. საჭიროა აქ ითქვას, რომ ეს მოვლენა ძალიან დამაფიქრებელია და სამწუხარო ფაქტორია ჩვენს სინამდვილეში. იმ დროს , როდესაც სახალხო მასწავლებელი არამც თუ მარტო სკოლას უნდა ემსახურებოდეს, არამედ იმ ხალხსაც, საიდანაც თვითონ არის გამოსული, სწორეთ აქ ვხედავთ ხელჩამოშვებულ უნიციატივო ადამიანს, რომელიც თითქმის ზოგიერთ შემთხვევაშიაც კი შეშინებულია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. ჩემის აზრით საზოგადოთ საქართველოს მასწავლებლობა და აგრეთვე გორის მაზრის მასწავლებლობაში არ ჰქონია ალაგი საბოტაჟისა, რითაც შეიძლებოდა მართლა მათ დაემსახურებინათ ის რისხვა და დარბევა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ სხვა და სხვა ალაგებში“.

1924 წლის 21 ივლისს, იგივე საკითხზე, გორის მაზრის აღმასკომის საერთო განყოფილების გემგე ანგარიშში მიუთითებდა მასწავლებლების პოლიტიკურ მომზადებასა და მათი რიგების წმენდაზე: ,,ამ მოკლე ხანში განათლების ინსპექციამ შესძლო დაეთვალიერებინა 19 მთლიანი შრომის სკოლა.

ქ. ხაშურში ჰუმანიტარული ტეხნიკუმის შენობაში ეწყობა საპედაგოგიო კურსები, რომელსაც **მიზნად აქვს მასწავლებლობის გადამზადება** პრაქტიკულად და **პოლიტიკურად**.

როგორც შარშანდელმა გამოცდილებამ გვიჩვენა, მასწავლებლებს უფრო ესაჭიროებათ პრაქტიკული გადამზადება, ვიდრე თეორეტიკულად და აი სწორედ ამ მიზნით მოწყობილია ქ. ხაშურში 100 კაცის საპედაგოგიური კურსები. ახლო მომავალში. ე.ი. **აგვისტოს შუა რიცხვებში გვექნება მასწავლებელთა წმენდა. საერთო მდგომარეობა კარგია...“**.

თითქოს არაფერს გვეუბნება ეს ამონარიდები, მაგრამ როცა საუბარია მასწავლებელთა პოლიტიკურ გადამზადებაზე, ან კიდევ, მასწავლებელთა წმენდაზე, ადვილად შეიძლება დასკვნის გაკეთება. უფრო მეტიც, ხასგასმით არის მითითებული, რომ ,,საერთო მდგომარეობა კარგია...“

მაშ რატომ აღმოჩნდა ხაშურის მუნიციპალიტეტი აგვისტოს ბოლოს ხელისუფლების მხრიდან მიზანში ამოღებული და რატომ შეიქმნა აუცილებელ საჭიროებად უდანაშაულო ხალხის მიმართ რეპრესიული ღონისძიების გატარება?

1924 წლის სისხლიანი დღეები ხაშურის მუნიციპალიტეტში

ქართული სული ბორგავდა და ვერ ეგუებოდა თავსმოხვეულ რევოლუციას, უცხო ძალების მიერ დამყარებულ მისთვის უცხო ხელისუფლებას. 1924 წლის აგვისტოში

(გაგრძელება IV გვერდზე)

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

წინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება.)

კი ყოველივე ამან ერთბაშად ამოხეთქა, - საქართველოში სახალხო აჯანყების ალი ავარდა.

1924 წლის 31 აგვისტოს, ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის განცხადება, რომლითაც იგი მოსახლეობას აუწყებდა 28 აგვისტოს დაწყებული აჯანყების შესახებ. ცხადია, განცხადებაში არ ყოფილა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ აჯანყებაში ფართო მასები ღებულობდა მონაწილეობას. აქცენტი გადატანილი იყო მხოლოდ იქითკენ, რომ ვითომ ავანტურისტთა ჯგუფის მიერ იყო მოწყობილი. მთავრობა სიმართლის თქმას გაურბოდა და აჯანყებასაც ისე წარმოუდგენდა მოსახლეობას, როგორც ეს მის მიერ განზრახული მიზნების განხორციელებას ესაჭიროებოდა. განცხადებაში ნათქვამი იყო: ,,მთავრობა საჭიროთ სცნობს მიაწოდოს მოქალაქეთ ნამდვილი ცნობები იმ ამბების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა გუშინწინ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მენშევიკების ცეკამ და პარტიულ კომიტეტის ჭერქვეშ მომუშავე ავანტურისტებმა თავად ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, დაიწყო შეიარაღებული აჯანყება მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ; მიუხედავად იმისა, რომ მათ არაერთხელ განუცხადებიათ, რომ უარს ამბობენ შეიარაღებულ აჯანყებაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს მათი ცდა უნდა ჩაითვალოს სასოწარკვეთილ და უგუნურ მოქმედებად.

ამ მიზნით, 28 აგვისტოს, დილის 4 საათზე, მენშევიკების ბანდიტებმა მოახდინეს თავდასხმა ჭიათურაზე.ეს ბანდა შედგებოდა კონტრ-რევოლუციონურ პარიტეტული კომიტეტის წარმომადგენლებისაგან: ყოფილი პოლკოვნიკების, თავადების, აზნაურებისა და მწარმოებლებისაგან.

ჩვენ მიერ მიღებული ზომებით ეს გამოსვლა ჩქარა იქნა ჩაქრობილი და ჭიათურაში უკვე აღდგენილია ნორმალური ცხოვრება.

აჯანყების მომწყობნი და მეთაურნი დაჭერილებია და ყველა ისინი სასტიკათ დასჯილნი იქნებიან.
საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეებშიაც მენშევიკებისაგან მოწყობილ იქნა ასეთივე ბანდიტური გამოსვლები, რომლებიც ჩაქრობილია თვით ადგილობრივ მშრომელთა ძალებით.
მთავრობის მიერ მიღებულია ზომები მტკიცე წესრიგისა და მშვიდობიანობის აღსადგენად და მცხოვრებლების დასაცავად. ტფილისი, 30 აგვისტო“.

ასე მშრალად წარმოსახავდა საქართველოს მთავრობა აგვისტოს მოვლენებს. მართალია, მთავრობა მოქალაქეებს ,,ნამდვილი“ ცნობების მიწოდებას ჰპირდებოდა, მაგრამ ამ ცნობებში ტენდენციურობა უფრო სჭარბობდა, ვიდრე სიმართლე და ,,ნამდვილი ცნობები“.

* * *

1921 წლის 25 თებერვალს ქართველი ერი, რომ კარგი განწყობით არ შეხვედრია, ამაზე მეტყველებს იმთავითვე მშრომელი მასების გამოსვლები სვანეთში, კახეთში, ხევსურეთში, გურიაში, ფშავში და სხვაგან. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აჯანყება მაინც ოცდაოთხი წლის აგვისტოს აჯანყებაა.

აგვისტოს აჯანყებისათვის მზადება დიდი ხნით ადრე დაიწყო საქართველოში. მისი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. 1921 წელს საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკების განცხადებას, რომ საქართველო კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩებაო, თანდათან ყავლი გადიოდა, რადგან მთელმა რიგმა მოვლენებმა, თვით ბოლშევიკურმა ხელისუფლებამაც თანდათან ძირი გამოუთხარა საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს მოვლენები ქართველმა ხალხმა მტკივნეულად განიცადა და შემდეგ აჯანყებითაც უპასუხა.

აჯანყების მომზადებას ხელმძღვანელობდა 1922 წელს შექმნილი ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, იგივე ,,პარიტეტული კომიტეტი“, რომელშიც შედიოდნენ პოლიტიკური პარტიები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალ-ფედერალისტური პარტია, სოციალ-რევოლუციური პარტია და სხვა.
,,პარიტეტულიკომიტეტის“სამხედროკომისიამუკვე1924წლისზაფხულისათვის დაამთავრა მზადება აჯანყებისათვის. შექმნილი იყო შეიარაღებული რაზმები კახეთში ქ. ჩოლოყაშვილისა, ქართლში - ლაშქარაშვილისა, სვანეთში - გარდაფხაძისა, გურიაში - მათითაშვილისა და სხვ. მაგრამ როგორც ჩანს, აჯანყების მზადების შესახებ თავიდანვე ინფორმირებული იყო საქართველოს ხელისუფლებაც, რომელიც, თავის მხრივ, სისტემატურად აპატიმრებდა აჯანყების ორგანიზატორებს. ამის გამო იყო, რომ რამდენიმეჯერ შეიცვალა როგორც აჯანყების გეგმა, ასევე მისი დაწყების დროც. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ იცოდა რა გამოსვლების შესახებ, არა თუ აქტიურად შეეცადა აჯანყების თავიდან აცილებას, არამედ ერთგვარად ყურიც კი წაუყრუა, რათა შემდეგ იგი გამოეყენებინა მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ სისხლიანი ანგარიშსწორებისათვის. ყოველ შემთხვევისთვის ამაზე მეტყველებს მთელი რიგი ფაქტები და ის შედეგები, რითაც აჯანყება დამთავრდა.

საზღვარგარეთიდან ჩამოვიდნენ და აჯანყების მომზადებაში ჩაერთვნენ ვ. ჯუღელი, ბ. ჩხიკვიშვილი და სხვები, მაგრამ ისინი აჯანყებამდე დააპატიმრეს, რამაც ერთგვარად უარყოფითი როლი ითამაშა აჯანყების ბედზე.

რადგან ხელისუფლება წინასწარ ინფორმირებული იყო აჯანყების მზადების შესახებ, იგი წინასწარ ამზადებდა ხალხში ერთგვარ ფსიქოზს, რომ შემდეგ ადვილად შეძლებოდა, განეხორციელებინა სისხლიანი ანგარიშსწორება, არა მარტო აჯანყებულთა, არამედ ყველას წინააღმდეგ, ვინც თვალში არ მოდიოდა. ამის ერთ-ერთ დასტურად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ 1924 წლის ზაფხულში ნ. ჟორდანიას სადირექტივო წერილთან დაკავშირებით, რომელიც აჯანყებას ეხებოდა, მთელ რიგ რაიონებში იმართებოდა და ეწყობოდა მასობრივი კრებები და მიტინგები სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) წევრებთან ერთად. ასეთი კრება ხაშურშიც გაიმართა.

1924 წლის 5 აგვისტოს, რკინიგზს მუშათა კლუბში, გაიმართა ყოფილ მენშევიკთა კრება, რომლის დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა - ,,ნოე ჟორდანიას წერილი და გაქცეული მენშევიკების გეგმები საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ“. კრებას რკინიგზის მუშა-მოსამსახურეები ესწრებოდნენ...

მოხსენებით გამოვიდნენ ყოფილი მენშევიკები აკაკი ჭყონია და სანდრო ფარნიევი, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ნ. ჟორდანიას წერილის შინაარსი. ,,მათ აღნიშნეს აგრეთვე, თუ რას აკეთებდა მენშევიკების ცეკა და გადაშალეს მენშევიკების საზიზღარი მოქმედება საბჭოთა ხელისსუფლების წინააღმდეგ”

კრების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც გმობდნენ ,,...მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკას, მუშები აღუთქვამენ საბჭოთა ხელისუფლებას პირველივე მოწოდებისთანავე დაიცვან მუშათა კლასის, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი“.

კრების საერთო პათოსი ასეთი იყო: ,,ხაშურის რაიონის მშრომელმა მასამ კიდევ ერთი ღირსეული პასუხი გასცა მენშევიკების მოღალატურ ღვაწლს“.

ასე ამზადებდა ხელისუფლება ფსიქოლოგიურად წინასწარ ხალხს მისსავე წინააღმდეგ. 22 აგვისტოს, ,,პარიტეტული კომიტეტის“ გადაწყვეტილებით, აჯანყების დაწყების დღედ 28 აგვისტო დაინიშნა.

28 აგვისტოს, დილის 4 საათზე, ჭიათურაში დაიწყო გამოსვლები, რომელიც სულ მალე შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის ქუთაისის, სვანეთისა და ნაწილობრივ თბილისის (გარეკახეთი) მაზრებსაც მოედო.

,,ამ აჯანყებას ჰქონდა სახალხო, მასიური ხასიათი. გაუგონარი ენთუზიაზმით გამოვიდა მთელი ხალხი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მუშა და გლეხი, ნასწავლი და უსწავლელი, მღვდელი და ყოფილი აზნაური - ყველა, ჯერ არნახული აღფრთოვანებით ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად“, - წერდა 1926 წელს პარიჟში გამომავალი ემიგრანტული ჟურნალი ,,ბრძოლა“
. როგორც ვხედავთ, რადიკალურად განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული აგვისტოს აჯანყების შესახებ. აჯანყებაში მარტო მენშევიკური პარტია არ ყოფილა ჩართული, როგორც ამას ოფიციოზი იუწყებოდა . აქ უპირველეს ყოვლისა, ხალხის ფართო მასები ღებულობდა მონაწილეობას. ასეთია ფაქტები, რომელსაც ვერ გავექცევით და აჯანყებას მხოლოდამხოლოდ მენშევიკების ავანტურად ვერ მივიჩნევთ.

* * *

აგვისტოს აჯანყება მარცხით დამთავრდა.

ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებისთანავე ხელისუფლება აქტიურად შეუდგა წინასწარ ჩაფიქრებული გეგმის განხორციელებას.

2 სექტემბერს რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა საქართველოს კპ ცკ მიმართვა ,,საქართველოს მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელთ“, რომელშიც ნათქვამი უყო: ,,მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტრები მიიღებენ ღირსეულსა და დამსახურებულ სასჯელს მთავრობისა და მუშათა და გლეხთა მასებისაგან.

საბჭოთა ხელისუფლება სამუდამოთ გამოუსწორებელ და შეუწყნარებელ დანაშაულს ჩაიდენდა საქართველოს მუშებისა და გლეხების წინაშე, რომ მან არ გაანადგუროს და არ მოსპოს სრულებითა და სავსებით მშრომელი ხალხის წინააღმდეგ იარაღით გამოსული მტრები!

თავად ჩოლოყაშვილებს, ანდრონიკაშვილებს, წერეთლებს და სხვებს არ მისცემს ნებას ხელი შეუშალოს ხალხს მშვიდობიან მუშაობაში, არ დაანებებს ამ თავადიშვილების მოდგმას, რომ მათ ფეხქვეშ გათელონ ხალხის უფლებები.

ასწილათ ამოვიგებთ მუშისა და გლეხის თვითვეულ დაღვრილ წვეთ სისხლს.

ჩვენ, სრული დარწმუნებული ვართ, რომ მშრომელი ხალხი იმდენ სიფხიზლეს და შეგნებას გამოიჩენს, რომ არ წამოეგება მენშევიკებისა და მათი მოკავშირე თავად-აზნაურობის ანკესზე, არ აჰყვება მათ ფეხის ხმას.

საქართველოს გლეხებო!
თქვენებურად, გლეხურათ, დაუხვდით თქვენ წინააღმდეგ ამხედრებულ მტრებს - თავადებს!

გამორეკეთ, გამოსწმინდეთ სოფლებიდან, არსად დარჩეს მათი ჯილაგი და სინსილა სადმე სოფელად. არც ერთი მათი სიტყვა, არც ერთი მათი ნათქვამი არ ჩაუშვათ ყურში. ყოველივე ეს იცოდეთ, თქვენ დასაბრმავებლათ არის მოგონილი!

არ მიიკაროთ ახლოს არცერთი მენშევიკი. ეს შხამიანი გველები მხოლოდ იმ მიზნით და იმ განზრახვით მოდიან თქვენთან, რომ ტკბილ სიტყვებში გამოხვეული საწამლავი შემოგაპარონ, რომ თქვენივე ხელით თქვენ კისერზე მონობის უღელი დაგადგმევინონ!

თუ სადმე გამოჩდნენ ასეთები, მაშინვე გადაეცით ის მთავრობას!

საქართველოს საბჭოთა მთავრობა ერთხელ და სამუდამოთ გასწმენდს ჩვენს ქვეყანას მშრომელი ხალხის ძველი და ახალი მტრებისაგან, როგორც თავადაზნაურობისაგან, ისე მათი მფარველი და მოკავშირე მენშევიკებისაგან.

გაუმარჯოს საქართველოს მუშებს და გლეხებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

შავი სამარისაკენ თავადაზნაურობა და მათი დამცველი მენშევიკები“.
მუშები და გლეხები, მშრომელი ხალხი და საქართველო, როგორც მიმართვიდან ჩანს, ხელისუფლებისათვის უბრალო შირმა იყო, რომელიც მათ ნამდვილ მიზნებსა და მისწრაფებებს ფარავდა. ცნობილია, რომ ,,...აჯანყების წინა დღეს, როდესაც სტალინს მოახსენეს, აჯანყება იწყება, ხელმძღვანელები ვიცით და ნება მოგვეცით, ავიყვანოთო, მან უარი თქვა და უკვე განწირული აჯანყების მიშვება, ბრძანა, ,,საქართველოს სამოქალაქო ომში სისხლი არ დაუღვრია და, დაე ახლა დაღვაროსო“.

ბოლშევიკებისაგან ვიზა უკვე გაცემული იყო ქართველ ხალხთან სისხლიანი ანგარიშსწორებისათვის. ახლა მხოლოდ მოქმედებაზე გადასვლა იყო საჭირო, რომ საქართველოსთვის ერთი ხელის დარტყმით თავი მოეკვეთათ.

იმავე დღეს, როცა საქართველოს კპ ცკ მიმართვა გამოქვეყნდა პრესაში, ამიერკავკასიის ცაკის სესია პირველსავე სხდომაზე განიხილავს აგვისტოს აჯანყების საკითხს. მოხსენებას აკეთებს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლევან ღოღობერიძე.

მომხსენებელმა ტენდენციურად გააშუქა, როგორც აჯანყების მიზეზები, ასევე მისი მიზნები. სამშობლო, მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა ლ. ღოღობერიძის თაობის ბოლშევიკთა კოჰორტისათვის უცხო იყო და მიუღებელი, მათ ეს ვერ წარმოედგინათ, რადგან არ სწამდათ ქართველი ერის, საკუთარი ერის მომავალი.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ეს ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსულია

ჩვენი გაზეთი ხშირად აქვეყნებს მასალებს, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის უახლოეს ისტორიას ასახავს. რა ხდებოდა ხაშურში 50-70 ან 100 წლის უკან, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. დღეს 84 წლის წინანდელ ამბებს გთავაზობთ, რომელიც მაშინდელი ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზეა გამოქვეყნებული. მაშ ასე: „ბოლშევიკური სიტყვა“ – 1950 წელი.

დიდება ბელადს

საარჩევნო კამპანიის დაწყების დღიდან, ჩვენი სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად, აქტიურად ვმონაწილეობ არჩევნებისათვის მზადებაში. ამასთან, მოუთმენლად ველი იმ დღს, როცა პირველად მივალ საარჩევნო ყუთთან და ჩემს საარჩევნო ხმას მივცემ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილებს, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის არჩეულ კანდიდატებს.

ორიოდე დღე დარჩა არჩევნებამდე. ორიოდე დღე და... ასრულდება ჩემი დიდი ხნის ნატვრა, ჩემი სანუკვარი ოცნება.

-მე ერთი ხმა მაქვს
და ათასიც რომ მომცა
ყველას
მივუძღვნიდი
ჩვენს პარტიას,
ხალხთა დიდ ბელადს,
პარტიის შვილებს,
ხალხის შვილებს,
ვინც უდგას მცველად,
ჩვენს გამარჯვებებს, შინ თუ გარეთ,
მთებში თუ ველად.
და აღტაცებით,
მთელი გულის ხმით,
მე მუდამ ვიტყვი:
დიდება ბელადს!

ნადია გორდეზიანი,
სურამის მე-2 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

მყიდველი მოითხოვს წესიერ მომსახურებას

ქვიშხეთის სოფლის მაღაზიაში ადგილი აქვს ზოგიერთ არაწესიერებას: მაღაზიის ერთ კუთხეში ერთად ალაგია საპონი, ასანთი, იქვეა ნავთიც კასრებით. გამყიდველი ნ.ბითაძე ხშირად უკმეხი პასუხით ისტუმრებს მყიდველებს, ამასთან ეწევა საქონლის (შაქარი და სხვა) გადამალვას „ნაცნობებისათვის“.

აღნიშნულ მდგომარეობას ხედავს და ურიგდება მაღაზიის გამგე ვ. ბითაძე. როდემდის გაგრძელდება ასე?

მყიდველი მოითხოვს წესიერ მომსახურებას?

მ. ბუკოძე

როდემდის გაგრძელდება ასე?

ორ კვირაზე მეტია ხაშურის აბანო არ მუშაობს. ამის მიზეზად აბანოს გამგე ამხ. ა. ობოლაძე სათბობის უქოლობას ასახელებს. ასეთივე მიზეზით გაზაფხულზე მთელი თვენახევრის განმავლობაში იყო დაკეტილი აბანო. და რატომ არ გაითვალისწინა ეს გარემოება აბანოს გამგემ, რატომ არ მოიმარაგა სათბობი მასალა თავის დროზე, განა ასეთი „მიზეზებით“ შეიძლება მთელი კვირეების განმავლობაში არ მუშაობდეს აბანო?

როდემდის გაგრძელდება ასე? ბოლოსდასაბოლოს, აბანოს ნორმალური მუშაობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოაგვაროს ხაშურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ.

დ. ლომიძე

ყურადღება უნდა მიაქციოს სკოლამ, ოჯახმა

სწავლა დაიწყო. მოსწავლეს თავისი სამეცადინო დღის რეჟიმი აქვს. ყოველი მოსწავლე მტკიცედ უნდა იცავდეს ქცევის წესებს. არის საწინააღმდეგო ფაქტები: ზოგიერთი მოსწავლე არ მეცადინეობს რეჟიმის მიხედვით, არღვევს ქცევის წესებს, სამეცადინო დროს ქუჩაში ხეტიალობს, კინოსეანსებსა და სხვა საზოგადოებრივ სანახაობებზე მოსწავლისათვის შეუფერებელ დროს დადის, იჩენს უდისციპლინობას.

ერთი ასეთი ფაქტი, ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლეთ აჯგუფი, მათ შორის მე-7 „ბ“ და მე-5 „ბ“ კლასების მოსწავლეები შ. ამირეჯიბი და მ. თომაძე4 სექტემბერს ღამის 10 საათზე საზაფხულო კინოთეატრის კედლის ჭუჭრუტანებიდან (ალბათ უბილეთების გამო) „ნახულობდნენ“ კინოფილმს. შენიშვნაზე - მათთვის ასეთი საქციელის შეუფერებლობის შესახებ - ისინი უზრდელის პასუხით გაუმასპინძლდნენ უფროსებს.

ასეთ მოსწავლეებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სკოლამ, ოჯახმა.

ო. გიორგაძე

როდემდის ვიყოთ რადიომიმღების შეკეთების მოლოდინში?

კაკალათხევის კოლმეურნეობაში შარშან შეძენილ იქნა რადიომიმღები „რეკორდი“. 3 – 4 თვის განმავლობაში კარგად მუშაობდა იგი. შემდეგ შესაკეთებელი გახდა და სურამში წაიღეს. ეს იყო დეკემბერში. მას შემდეგ აგერ მეორე დეკემბერი მოდის და შეკეთებული რადიომიმღები კი არსად სჩანს. როდემდის ვიყოთ რადიომიმღების შეკეთების მოლოდინში, რას იტყვის ამაზე კაკალათხევის კოლმეურნეობის გამგეობა?

ა.წულეისკირი

საჭიროა კოლმეურნეობის თავმჯდომარის დახმარება

ფიზკულტურისა და სპორტის საქმით დაინტერესებული ბევრი ახალგაზრდაა ზემო ოსიაურის კოლმეურნეობაში. ისინი რაიონის მასშტაბით მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სახის სპორტულ შეჯიბრებაში, იბრძვიან პირველობისათვის. სამწუხაროდ მათ სათანადო დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობის თავმჯდონმარე ამხ. ი. ტუსიაშვილი. კარგა ხანია აქაურმა ახალგაზრდებმა დაიწყეს სიგრძეზე სახტომი მოედნის მოწყობა, შეასრულეს გარკვეული სამუშაო ამოიღეს ორმო. მაგრამ იმის გამო, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ტუსიაშვილმა მათ არ ათხოვა ხარები სილის მოსატანად, დაწყებული საქმე ვერ დაამთავრეს.

საჭიროა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სათანადო დახმარება გაუწიოს კოლმეურნე ახალგაზრდობას ფიზკულტურულ-სპორტული მოედნის მოწყობაში.

ნ. ჩერქეზიშვილი

საკოლმეურნეო დარბაზის მოწყობა ჭიანურდება

ხაშურის მუსიკალურ სასწავლებელს ნორმალური მუშაობის საშუალებას უზღუდავდა საკონცერტო დარბაზის უქონლობა. სასწავლების დირექციამ გადაწყვიტა მისი მოწყობა სასწავლებლის არსებული შენობის ნაწილობრივი რეკონსტრუქციის ხარჯზე. ამისათვის მიიწვია ხაშურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების ინჯინერი ნ. მიხაილიდი, რომელმაც შეადგინა დარბაზის მოწყობის გეგმა და პირობა დასდო სასწავლებლის დირექციასთან სამუშაოს ხელმძღვანელობაზე.

დიდი ამბავი არ იყო, სულ რაღაც შვიდი - რვა დღის მუშაობას მოითხოვდა ეს საქმე. მაგრამ აგერ თვეზე მეტია გრძელდება იგი.

მიხაილიდის მიერ მიყვანილმა მუშებმა სამუშაოს ნაწილი რაღაც სულსწრაფად, სრულიად უხარისხოდ შეასრულეს, დანარჩენი კი მიატოვეს. მიხაილიდიც არ ზრუნავს დაწყებული საქმის დასამთავრებლად. ყოველივე ამის გამო სასწავლებელში კიდევ უფრო შეიზღუდა ნორმალური მუშაობის პირობები.

სხვათაშორის, ხაშურის საქალაქო აღმასკომის კომუნალური განყოფილების ზოგიერთი მუშაკის საქმიანობაში იშვიათღი არაა ასეთი ფაქტი, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

ი. ესაძე

ვსწავლობთ ბეჯითად

ახალ სასწავლო წელს ახალი ენერგიით შევხვდით. უკვე მე-7 კლასის მოსწავლეები ვართ. მოგვემატა ახალი სასწავლო საგანი - ფიზიკა, გაკვეთილზე დიდი ყურადღებით ვუსმენთ მასწავლებელს, ვცდილობთ მისი ნათქვამიდან არაფერი გამოგვრჩეს. ყველა საგანი ძალიან გვიყვარს, მაგრამ ფიზიკამ განსაკუთრებით დაგვაინტერესა. ჩვენი კლასის ყველა მოსწავლე ბეჯითად სწავლობს ამ საგანს. ამის დასტურია, რომ ჩვენს საკლასო ჟურნალში ბევრი „ოთხები“ და „ხუთები“ იწერება ფიზიკის გაკვეთილებზე. ჩვენი კლასის არცერთ მოსწავლეს სამზე ნაკლები ნიშანი არ მიუღია ჯერ ამ საგანში.

ვსწავლობთ ბეჯითად, მონდომებით. ჩვენ გვაქვს საამისო პირობები. მუდამ გვახსოვს ძია ლავრენტი ბერიას მოწოდება რომ „მოსწავლის გმირობა და სიმამაცე ეს არის სწავლა ფრიადზე!“

დალი ჩხიკვაძე,
მერი ნოზაძე,
ხაშურის რკინიგზის ქალთა საშუალო სკოლის
მე-7 კლასის მოსწავლეები

ჩემი ხმა

შემისრულდა 18 წელი. საარჩევნო ყუთთან მისვლის მოლოდინში უჩვეულო სიხარულით ფეთქდა ჩემი გული. წელს პირველად ვუერთებ ჩემს ხმას საბჭოთა ხალხის თავისუფალ, სამართლიან ხმას და ეს ისე მახარებს.

როგორც პატარას დედის ალერსი,
როგორც ნორჩ ყვავილს ცვარი დილისა,
როგორც ზამთარში პირველი თოვლი,
პირველი მოსვლა გაზაფხულისა,

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ადგილობრივ საბჭოებში ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილების არჩევით ხმას ვაძლევთ ჩვენი ქვეყნის შემდგომ აყვავებასა და ძლიერებას, ჩვენს ბედნიერ მომავალსა და საყოველთაო მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენი ბედნიერი და საამური ცხოვრების შემქმნელს, საბჭოთა ხალხის პირველ საყოველთაო დეპუტატს დიდი სტალინს.

ნელი გრიქუროვა

წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში, 500-მდე მეთორმეტეკლასელმა იზეიმა სკოლის დამთავრება. მათ წინაშე ახლა სრულიად განსხვავებული გამოწვევები და ცხოვრების ულამაზესი პერიოდი იწყება. ღრმად ვართ დარწმუნებული, მათი უმრავლესობა, ღირსეულად დაძლევს ყველა სირთულეს და სტუდენტური წლებით გაილამაზებს სიცოცხლეს. მანამდე კი, ჩვენი მკითხველის სახწელით, ვულოცავთ მათ სკოლის წარმატებით დასრულებას!

- ანონსი -

ერთად ვიზეიმოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ხაშურში დიმიტრი ყიფიანის სახელობის მოედანზე გაიმართება საზეიმო ღონისძიებები:

12:30 – 13:00 - კოსტუმირებული მსვლელობა, რუსთაველის ქუჩა - დიმიტრი ყიფიანის მოედანი

13:30 – 18:00 - ადგილობრივი მხატვრების, მეწარმეებისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა - გაყიდვა.

13:30 – 17:30 ადგილობრივი ანსაბლების კონცერტი , ჭადრაკის ღია პირველობა.

17:10 - საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი - ლევან ტაბატაძე

17:30 -18:30 - ანიმატორების წარმოდგენა ბავშვებისათვის

19:00 – 19:30 - წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი

19:30 – 22:00 –საზეიმო გალა კონცერტი - ანსაბლი „ბანა“ ლიზა დარასელია და ბენდი „რეაქტივი“

22:00 - საზეიმო ფოირვერკი.

ერთად ვიზეიმოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!

მუნიციპალიტეტის მერია

აღინიშნა მიხეილ მურვანიშვილის დაბადების დღე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძემ და მერიის განათლების,

კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა, მიხეილ მურვანიშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს, ბიუსტი გვირგვინით შეამკეს და ქართველი მეტყევისა და მეცნიერის ფასდაუდებელ ღვაწლზე ისაუბრეს.

1934 წლიდან, მიხეილ მურვანიშვილი სათავეში ჩაუდგა სურამის სატყეო მეურნეობას, სადაც ასობით ჰექტარზე გააშენა ფიჭვის კულტურა და მოაწყო სანერგე. სწორედ მისი წყალობით შეიძინა სურამმა უნიკალური კურორტის დანიშნულება.

მურვანიშვილი ჩართული იყო სამეცნიერო საქმიანობაში, მისი წერილები იბეჭდებოდა "ივერიის", "ცნობის ფურცლის", "დროების" და სხვა ჟურნალ–გაზეთების ფურცლებზე, წერდა მოთხრობებსაც.

მის სახელს უკავშირდება, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებზე ტყის მასივების გაშენება, სანერგეების მოწყობა, უფასო სამკითხველოების გახსნა.

დააარსა თესლის საშრობი ქარხანა, სადაც მზადდებოდა წიწვოვანი სახეობების თესლი.

მიხეილ მურვანიშვილი გარდაიცვალა 1959 წელს. დაკრძალულია სურამში მის მიერვე გაშენებულ ბაიანთხევის ტყე-პარკში.

უფალმა ორი ოჯახი აკურთხა

საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების სურამ-ხაშურის სადროშოში მორიგი საყოველთაო ჯვრისწერა ჩატარდა. საყოველთაო ჯვრისწერებს 2016 წლიდან უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩაეყარა საფუძველი და 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დღეს ტარდება.

ჯვრისწერა იმ წყვილებისთვის დაწესდა, რომლებიც შეუღლებულები არიან, თუმცა ჯვარი ამ დღემდე არ ჰქონდათ დაწერილი.

ჯვრისწერის საიდუმლო წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის მოძღვარმა მამა დავითმა აღასრულა. ჯვარი ორმა წყვილმა დაიწერა, რომელთაგან უხუცესი 48 წელი ქორწინებაშია. საკურთხეველზე ასვლით, რომლის უფლებაც სიცოცხლეში ერთხელ ეძლევათ, წყვილებმა ერთგულება შეჰფიცეს ერთმანეთს.

ჯვრისწერას სურამ-ხაშურის სადროშოს ჯვრისწერის სამსახურის ხელმძღვანელები ფირან ღონღაძე და ირმა კაპანაძე სადროშოს წევრებთან ერთად უწევენ ორგანიზებას. უფალმა დალოცოს და გვიმრავლოს ქართული ტრადიციული ოჯახები!

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.